აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№107 (24.987) შაბათი, 1 - 3 ოქტომბერი, 2022 წ. 50 თეთრი

ბათუმს კიდევ ერთი ახალი სკოლა შეემატება

ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, დემეტრე თავდადებულისა და ილია ჭავჭავაძის ქუჩების კვეთასთან, 1400 მოსწავლეზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამსართულიანი საჯარო სკოლა აშენდება. შენობაში საკლასო ოთახების გარდა, განთავსდება სპორტული და სააქტო დარბაზები, ბიბლიოთეკა; მოეწყობა ღია მოედანი და სარეკრეაციო სივრცე. სკოლა მთლიანად ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე.

პროექტს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს და მისი ღირებულება 7 მილიონ ლარამდეა.

ბათუმში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის ადგილზე სიმბოლური კაფსულის ჩადების ცერემონია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, მინისტრის პირველი მოადგილე თამარ მახარაშვილი, აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის თავმჯდომარეები დავით გაბაიძე და თორნიკე რიჟვაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლები.

მიხეილ ჩხენკელმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და მთელი საქართველოს მასშტაბით საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

„დღეს სასიხარულო დღეა - ქალაქ ბათუმის ცენტრში საფუძველი ეყრება კიდევ ერთი ახალი საჯარო სკოლის მშენებლობას. მოხარული ვარ, მონაწილეობა მივიღო ამ სკოლის მშენებლობის დაწყების საზეიმო ღონისძიებაში. საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე ზრუნვა ჩვენი გუნდის მთავარ პრიორიტეტია და ამის თვალსაჩინო მაგალითია აჭარის რეგიონში კიდევ ერთი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლის მშენებლობის დაწყება, რომელიც ჩვენს ახალგაზრდებს უსაფრთხო და კომფორტულ გარემოში მისცემს განათლების მიღების შესაძლებლობას.

ჩვენი გუნდის მთავარი ამოცანა მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფაა, რაც ხელს შეუწყობს სკოლებში თანაბრად ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნას... საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, იწყება 1 მილიარდი ლარის ღირებულების მასშტაბური პროექტი, რაც 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციას გულისხმობს. პროექტის პირველი ეტაპი ოქტომბერში დაიწყება და ტენდერი 80 ახალი სკოლის მშენებლობასა და 320 სკოლის რეაბილიტაციაზე გამოცხადდება. დარჩენილი 400 სკოლის რეაბილიტაციის ტენდერი 2023-2024 წლებში გამოცხადდება და 2026 წლის ბოლოსთვის, ჯამში, 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდება.

პროექტი საგანმანათლებლო რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობასა და მათ გაუმჯობესებას უზრუნველყოფს და მისი განხორციელებით 230 000-ზე მეტი მოსწავლე ისარგებლებს. შედეგად, 2026 წლის ბოლოსთვის ყველა საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ინფრასტრუქტურულად გამართული იქნება... კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტის დაწყება. აჭარის მთავრობასთან ნაყოფიერი თანამშრომლობით, ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ზრუნვას!“, - განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

როგორც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ აღნიშნა: „აჭარაში, როგორც ადგილობრივი დაფინანსებით, ასევე ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით, არაერთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პროექტი განხორციელდა. დავიწყეთ კიდევ ერთი ახალი, თანამედროვე სკოლის მშენებლობა, რომელიც გათვლილია 1400 მოსწავლეზე. იმედია, იმ გამოწვევას, რაც ჩვენს ქალაქს წლების განმავლობაში აწუხებს - სასკოლო სივრცეების დეფიციტს, ნაწილობრივ აღმოფხვრის“.

საზეიმო ღონისძიებაზე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ განათლების ხელშეწყობა-განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრა და საკანონმდებლო ორგანოს სახელით, მსგავსი პროექტების მხარდასაჭერად მზაობა გამოთქვა.

აღსანიშნავია, რომ 2021-2022 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით, რეგიონში აშენდა 4 ახალი საჯარო სკოლა, სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია კი 28 სკოლას ჩაუტარდა.

ანკა ჩხიკვაძე

კრიალოსა N იუსი

2023 წლის იანვარში ყველა საჯარო მოხელისთვის ხელფასი 10%-ით გაიზრდება და ეს ზრდა მომდევნო წლებშიც გაგრძელდება. ჩვენ გამოვკვეთეთ პოლიციელები, ჯარისკაცები და უსაფრთხოების სამსახური და მათი ხელფასები, ყველა თანამშრომლისთვის იანვრიდან 20%-ით გაიზრდება, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მთავრობის ხდომაზე განაცხადა. გარდა ამისა, ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში თითქმის 440 ლარი იქნება, სხვაგან კი 365 ლარი.

* * *

გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ მომავალი სახალხო დამცველის არჩევის პროცესი იქნება ინკლუზიური, გამჭირვალე და პირი, რომელსაც აირჩევენ, იქნება პროფესიონალი და მიუკერძოებელი, - ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ განაცხადა. ელჩმა ხაზი გაუსვა, რომ ამჟამად სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობს. „სხვათა შორის, 12 რეკომენდაცია ითვალისწინებს იმას, რომ პროცესი დასრულდეს ისეთი ადამიანის არჩევით, რომელიც იქნება მაღალპროფესიონალი“, - დასძინა დიპლომატმა.

* * *

აშშ მტკიცედ უჭერს მხარს ქართველ ხალხს, რომლის პოლიტიკურმა ლიდერებმა მთელი პოლიტიკური სპექტრიდან ხმამაღლა ისაუბრეს ამ მიუღებელი „ვიზიტის“ შესახებ, რომელმაც დაარღვია საერთაშორისო კანონმდებლობა. განსაკუთრებით მტკივნეული და შეურაცხმყოფელია, რომ ეს მოხდა ერთი დღის შემდეგ, როდესაც ჩვენ აღვნიშნეთ სოხუმის დაცემის 29-ე წლისთავი“, - განაცხადა საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა. მისი თქმით, შეერთებული შტატები განაგრძობს მუშაობას ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანად აღდგენისა და რეგიონში მშვიდობისთვის.

* * *

ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი არის ის ფასი, რომელსაც ყველა იხდის იმაში, რომ რუსეთი უკრაინის ტერიტორიაზე შეიჭრა, - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა. მისი თქმით, ორნიშნა ინფლაცია ფიქსირდება ევროკავშირის დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებშიც. „მომდევნო წლის მეორე კვარტლის შემდეგ, ინფლაციის მაჩვენებელი უნდა დაუახლოვდეს სამიზნე მაჩვენებელს, საუბარია ყოველთვიურ ინფლაციაზე. 3%-თან უნდა იყოს ახლოს არსებული პროგნოზებით, ხოლო რაც შეეხება საშუალო წლიურ ინფლაციას, ბუნებრივია, 3%-ზე მაღალი იქნება“, - აღნიშნა მინისტრმა.

მოამზადა
ია შველიძემ

ბათუმს «WORLD TRAVEL AWARDS 2023»-ის მასპინძელი ქალაქის სტატუსი გადაეცემა

2

მომხდარის გამო დირექტორი გაათავისუფლეს

5

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 23-28, მთაში - 20-25 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 22 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 764 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

ბათუმს „WORLD TRAVEL AWARDS 2023“-ის მასპინძელი ქალაქის სტატუსი გადაეცემა

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

1 ოქტომბერს ესპანეთში, ბათუმს „World Travel Awards 2023“-ის მასპინძელი ქალაქის სტატუსი გადაეცემა - ამის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ 29 სექტემბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე განაცხადა. თორნიკე რიჟვაძის განმარტებით, ტურიზმი კვლავაც რჩება ადგილობრივი ეკონომიკის მთავარ ლოკომოტივად და ამ მიმართულებით ბათუმისა და რეგიონების ინფრასტრუქტურის განვითარება ერთნაირად მნიშვნელოვანია.

მთავრობის თავმჯდომარე ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს აფხაზეთში ვიზიტსაც გამოეხმაურა.

- მინდა გამოვეხმაურო ალექსანდრ ლუკაშენკოს ვიზიტს რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთის რეგიონში, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, არღვევს ოკუპაციის კანონს და, რა თქმა უნდა, მიუღებელია. აფხაზეთი საქართველოა და ამას ვერანაირი ვიზიტი ვერ შეცვლის, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

მთავრობის თავმჯდომარემ ავარიული სახლების მნიშვნელობასა და განახლებულ სასკოლო ინფრასტრუქტურაზეც ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, სრულად განახლდება ბათუმის ავტოპარკი და ახალი ავტობუსები ქობულეთის მუნიციპალიტეტსაც შეემატება. ასევე, გრძელდება მნიშვნელოვანი პროექტი - ხულო-ზარზმის 42-კილომეტრიანი გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია.

- მოგეხსენებათ, ბათუმი წელსაც წარდგენილია ტურიზმის ჯილდოზე. 1 ოქტომბერს ესპანეთში გაირკვევა, ისევ მიიღებს თუ არა ჩვენი ქალაქი ამ პრესტიჟულ ჯილდოს. ასევე, ოფიციალურად გამოცხადდება, რომ მომავალ წელს აღნიშნული ღონისძიების ძირითად დაჯილდოებას უმასპინძლებს ბათუმი, რაც კიდევ ერთხელ დაეხმარება ჩვენი ქალაქის საერთაშორისო პოპულარიზაციას, მის ტურისტულ პოზიციონირებას არა მხოლოდ ევროპაში, არამედ გლობალურად. ჩვენ ველით, რომ ეს იქნება წარმატებული ღონისძიება.

ჩვენი მთავარი ამოცანა გახლდათ, რომ წელს სრულად აღდგენილიყო 2019 წლის დინამიკა და დღეს არსებული მონაცემებით, აჭარამ მთელი ეს ტურისტული სეზონი ჩაატარა წარმატებით. გვქონდა უპრეცედენტო სეზონი და ორნიშნა ზრდა 2019 წელთან შედარებით, რაც აისახა როგორც სექტორის, ასევე საბიუჯეტო შემოსავლებზე, რაც მოგვცემს საშუალებას, კიდევ უფრო მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი დავგეგმოთ მომავალი წლისთვის აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში.

4 ახალი და 28 რეაბილიტირებული სკოლით შეხვდა აჭარა ახალ სასწავლო წელს. ვიწყებთ ახალი, 1400 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის მშენებლობას, რომელიც ამ დეფიციტს კიდევ უფრო მეტად აღმოფხვრის. შემდეგი კვირიდან სწავლა დაიწყება მე-2 საჯარო სკოლაში და 2000-ზე მეტი მოსწავლე განახლებულ სივრცეში გააგრძელებს განათლების მიღებას.

ბათუმში სრულად განახლდება ავტობუსების პარკი. 65 ახალი ავტობუსი დაემატება რეგიონს. ძირითადი ნაწილი მოემსახურება ბათუმს, ავტობუსები შეემატება ქობულეთის მუნიციპალიტეტსაც.

პროგრამის „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ დაანონსებიდან დღემდე დაახლოებით სამი თვე გავიდა და უკვე მნიშვნელოვანი პროექტები დავიწყეთ. სამ მისამართზე მშენებლობა უკვე აქტიურ ფაზაშია. დასრულდა სამშენებლო სამუშაოები ე.წ. შანხაის დასახლებაშიც, სადაც 150-ზე მეტი ოჯახი მიიღებს ახალ საცხოვრისს. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ კიდევ უფრო მეტად გავაძლიერებთ კომუნიკაციას კერძო სექტორთან ამ პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისთვის.

ასევე, დასრულდა ყველა პროცედურა ბათუმის ნაპირსამაგრ სამუშაოებთან დაკავშირებით. ეს არის ერთ-ერთი გამოწვევა ბათუმის ბულვარისთვის. დაიწყო ტექნიკის შესაბამისი მობილიზაცია და შემდეგი თვეების განმავლობაში განვახორციელებთ ნაპირდაცვითი საქმიანობის სწორ მენეჯმენტს, რაც ამ მნიშვნელოვან პრობლემას გადაჭრის, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ ორ საკითხზე იმსჯელეს, რომელიც მთავრობის წევრებს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა გააცნო და დადგენილებასა და განკარგულებაში ცვლილებებს შეეხებოდა.

ურეხის თავშესაფარში დროებით შესახლებულ ოჯახებს ბინებით დააკმაყოფილებენ

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

ანგისის ქუჩასა (აღმაშენებლის ქუჩის წრიულიდან გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩამდე მონაკვეთში) და მარუხის ქუჩაზე (შავშეთის ქუჩიდან სოხუმის ქუჩის მონაკვეთამდე) ავტომობილები, გარდა სპეციალური დანიშნულების ავტომანქანებისა, ცალმხრივად იმოძრავებენ. გადაწყვეტილება ბათუმის საკრებულომ 29 სექტემბერს გამართულ სხდომაზე მიიღო. დეპუტატებმა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტობუსების მოძრაობის განახლებული მარშრუტები, კერძოდ, N 6 და N 14 სამარშრუტო ხაზებზე მოძრაობის სქემაც დაამტკიცეს, რომელსაც ორბელიანის ქუჩის ერთ-ერთი მონაკვეთი დაემატა.

მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა დეპუტატებს „ბავშვზე მორგებული ქალაქის ინიციატივის (CF-CI)“ განხორციელების 2022-2025 წლების სტრატეგია და 2022 წლის სამოქმედო გეგმა გააცნო. სოფიო

მიქელაძის განმარტებით, აღნიშნული სტრატეგია, იუნისეფის წარმომადგენლების ჩართულობით, 2021 წლის 4 აპრილს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილმა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის UNICEF-ის ბავშვზე მორგებული ქალაქის ინიციატივაზე მიერთების“ სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა. სტრატეგია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპებისა და მიდგომების ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში დანერგვის ხელშეწყობასა და ბავშვისთვის უსაფრთხო, ჯანსაღი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას ითვალისწინებს.

საკრებულომ „ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ მუნიციპალურ პროგრამაში მონაწილე, პირველ და მეორე ეტაპზე უკვე ჩატარებული კვლევების შედეგად მინიჭებული 40 000-ქულიანი ოჯახებისათვის საცხოვრებლის გადაცემის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებსაც დაუჭირა მხარი.

- მერია მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის პირველ და მეორე ეტაპზე უკვე ჩატარებული კვლევების შედეგად მინიჭებული 40 000 სარეიტინგო ქულების მიხედვით შერჩეული აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი იქნება სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიერ გაცემული ინფორმაცია შემოსავლების თაობაზე, არანაკლებ სარგებლობაში გადაცემის დროისათვის უკანასკნელი ერთი წლის პერიოდის შესახებ, რომელითაც დგინდება დაწესებული ქირის ოდენობის გადამხდელუნარიანობა, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 თებერვლის №165 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის, აგრეთვე ელექტრონული ბაზის მიხედვით სხვა კრიტერიუმების გადამოწმება, განხილვა და კრების ოქმის საფუძველზე ქულების შენარჩუნება ან უარყოფა, - განაცხადა სოფიო მიქელაძემ.

საკრებულომ ამ დღეს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების 1 კვ მეტრი საწყისი წლიური სარგებლობის საფასურიც განსაზღვრა. გადაწყდა რამდენიმე ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემაც. ასევე, დაამტკიცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების განახლებული ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა. დეპუტატებმა ბათუმის ღამის თავშესაფარში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილება, - განაცხადა დავით კოპინაძემ.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, მდინარეების - ბარცხანასა და ყოროლისწყალს შორის მდებარე 3445 კვ მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მასშტაბური საინვესტიციო პროექტების განხორციელებაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის ხელნებით დაკმაყოფილების შესახებაც მიიღეს გადაწყვეტილება. საკითხები დეპუტატებს მერიის ქონებისა და სერვისების მართვის სამსახურის მოვალეობის შემსრულებელმა დავით კოპინაძემ გააცნო.

- როგორც ცნობილია, მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილია ურეხის დროებითი ღამის თავშესაფრის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები, რისი განხორციელებაც აღნიშნული ექვსი ოჯახის ღამის თავშესაფრიდან გამოყვანის გარეშე შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი მოკვლევისა და შესწავლის შემდგომ, დაიგეგმა თავშესაფარში დროებით შესახლებული ოჯახების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილება, - განაცხადა დავით კოპინაძემ.

შეწყობის მიზნით, შემდგომში მისი შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, 5 წლის ვადით იჯარით სარგებლობაში გადასაცემად. სწორედ ამ საკითხის განხილვას მოჰყვა კამათი საკრებულოს სხდომაზე. ოპოზიციამ ხელოვნური კუნძულის მშენებლობის პროექტის საჯარო განხილვა მოითხოვა, წინაარმდეგ შემთხვევაში კი, როგორც აღნიშნეს, მხარს არ დაუჭერდნენ. მმართველი გუნდის წევრებმა მათ განუმარტეს, რომ საუბარია პროექტის განსახორციელებლად საჭირო გზაზე, რომელიც პროექტის დასრულების შემდეგ ისევ მუნიციპალიტეტს დაუბრუნდებოდა.

- ეს პროექტი აუცილებლად განხორციელდება. იყო აზრთა სხვადასხვაობა მიწის ნაკვეთის დროებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით. მე, როგორც რიგით მოქალაქეს, მსურს, ამასთან დაკავშირებით განმარტება გავაკეთო, რომ ყველა ინვესტორს, რომელსაც სურს გრანდიოზული პროექტების გაკეთება ჩვენს ქალაქში, ხელი უნდა შევუწყოთ და სწორედ ამის გათვალისწინებით მივიღეთ დღეს ეს გადაწყვეტილება.

იხ. მე-7 გვ.

პუტინმა თავად დაამსხვრია რუსეთის უძლეველობის მითი

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*რუსეთ-უკრაინის ომი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ევრაზიის კონტინენტზე და მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავალზე, რის შესახებაც საუბრობენ არა მხოლოდ უკრაინელი, არამედ დასავლელი ანალიტიკოსებიც. თუ რუსეთი უკრაინაში დამარცხდა, ეს მნიშვნელოვნად დააჩქარებს აგრესიის ქვეშ მყოფი სახელმწიფოების ინტეგრაციას დასავლურ სამყაროში, საპირისპირო სურათის შემთხვევაში კი მთელი მსოფლიო წესრიგი ამოყირავდება და საქართველოს რა მომავალი ელის, ვერავინ იტყვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ომის დასრულების შემდეგ ბევრი რამ გაირკვევა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ჩნდება კითხვები: რას ნიშნავს რუსეთში ნაწილობრივი მობილიზაცია, საქართველოში რუსი მოსახლეობის მასობრივი მიგრირება რა საფრთხეს შეიცავს და ამჟამად რა ფაზაა რუსეთ-უკრაინის ომში? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე საუბრისთვის საჯარო მმართველობის დოქტორს, ბსუ-ის ლექტორ **გიგა ფარტენაძეს** მივმართეთ.*

- ომის მეშვიდე თვის მიწურულს რუსეთის პრეზიდენტმა ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა უკრაინაში საჯარისო დანაკარგების შესავსებად, რა გახდა ამ გადაწყვეტილების მიზეზი და რას უნდა ველოდოთ სამომავლოდ?

- რუსეთის არმიის უძლეველობის მითი უკრაინელი ხალხის თავდადების შედეგად თავად პუტინმა დაამსხვრია მაშინ, როდესაც მობილიზაცია გამოაცხადა. მოგეხსენებათ, რომ მობილიზაცია ცხადდება სწორედ მაშინ, როდესაც ომში ჩართული სახელმწიფო მნიშვნელოვან დანაკარგს განიცდის, ფრონტის ხაზზე აქვს დანაკლისი, მორალურიც და რაოდენობრივიც, რაც სასწრაფოდ უნდა შეივსოს. ამ გადაწყვეტილების შედეგები, ვფიქრობ, უმძიმესი იქნება თავად რუსეთისთვის, რადგან მობილიზაციის დროს ფრონტის წინა ხაზზე აღმოჩნდებიან ადამიანები, რომლებსაც შესაბამისი კვალიფიკაცია, მომზადება და გამოცდილება არ გააჩნიათ.

- ვხედავთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში და რუსეთის სხვადასხვა მხარეში მიტინგები იმართება მობილიზაციის საწინააღმდეგოდ, ამ მხრივ პროცესების რა განვითარებას ელოდებით?

- ჩვენ ვხედავთ გამოსვლებს ქუჩაში, ხალხის მცირე ნაწილის, მაგრამ მაინც წინააღდეგობას ამ კუთხით, თუმცა შედეგები სხვა რამეზე მეტყველებს, ადამიანთა მობილიზება ძალდატანებით თუ თავიანთი ნებით მაინც ხერხდება. შედეგებს ფრონტის ხაზიდან უნდა დველოდოთ. პუტინმა თავისი ხალხი სიკვდილისთვის გაიმეტა, საცდელ ობიექტად აქცია, რაც უახლოეს დღეებში გამოჩნდება.

- მოსახლეობა რუსეთიდან გამორბის და სახლდება სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ხომ არაა მოსალოდნელი, რომ რუსეთმა ისინი საქართველოს საწინააღმდეგოდ გამოიყენოს?

- საგულისხმოა ის, რომ ჩვენ არ გვაქვს ზუსტი ინფორმაცია, რა კატეგორიის, დანიშნულების და მისიის ადამიანები ჩამოდიან ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს მართებს იყოს ფხიზლად, რათა ნებისმიერი საეჭვო ქმედების თუ პროვოცირების დროს არ აღმოვჩნდეთ მათ სასარგებლო თამაშში. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ აქ ჩამოსულ რუსეთის მოქალაქეებს ახალი ფრონტის გაჩენის მისია აქვთ დაკისრებული, რადგან პუტინის რუსეთს დღეს ამის რესურსი არ გააჩნია, ანუ ამ ფორმით არ უნდა ველოდოთ საფრთხეს. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, ბუნებრივია, ამ რაოდენობის „ომს გამოქცეული“ რუსი მოქალაქეების ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრება რომ სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს, ეს ცხადია.

- მეშვიდე თვეა უკრაინაში ომი მიმდინარეობს, რა ეტაპზეა იგი?

- როგორც ვიცით, უკრაინა წარმატებით იბრძვის ფრონტის ხაზზე და არაერთი მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ტერიტორია დაიბრუნა. ახლა იწყება რუსეთის დანაკარგის და დეფიციტის შევსება, რაც ომს თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაიყვანს.

- უკრაინული არმია წარმატებულ ბრძოლებს აწარმოებს, ათავისუფლებს დაპყრობილ ტერიტორიებს და ამავე დროს იერიში მიაქვს ხერსონსა და ყირიმში განლაგებულ სამხედრო ბაზებზე, ეს რისი მანიშნებელია?

- დაპყრობილი ტერიტორიების გათავისუფლება რუსეთისათვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ტოლფასი იყო, რაც მეტყველებს უკრაინის სწორ, ეფექტურ და კარგად დაგეგმილ თავდაცვით თუ საპასუხო იერიშებზე, ძლიერ სამხედრო სადაზვერვო სამსახურზე, უკრაინელი ხალხის ერთიანობის განმტკიცებაზე, საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის და თავისუფლების იდეისთვის ბრძოლის უალტერნატივობაზე.

- გვერდს ვერ ავუვლით დაწესებულ სანქციებს, რამდენად ელოდა კრემლი ამ სანქციებს და ასევე, უკრაინის მხარდაჭერას დასავლეთის მხრიდან?

- რუსეთი, ბუნებრივია, ელოდა გარკვეულ საერთაშორისო სანქციებს, რადგან ამის გამოცდილება მიღებული აქვს ჯერ კიდევ 2008 წელს საქართველოსთან ომში და 2014 წელს უკრაინაში შეჭრის შემდეგ, თუმცა დამდგარმა შედეგმა ის უბრალოდ, სულ მცირე, გააოცა, რადგან ასეთი ერთიანი, კრიტიკული და შეკრული დასავლეთი მის წინააღმდეგ აქამდე არ ენახა.

- მართლია, დასავლეთი ეხმარება უკრაინას, მაგრამ გერმანია და საფრანგეთი (დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ისგან განსხვავებით) სათანადოდ არ ეხმარებიან, რა განაპირობებს მათ ასეთ ქმედებას?

- დასავლეთის წამყვანმა სახელმწიფოებმა უნდა აირჩიონ სწორხაზოვანი პოლიტიკა - ან ეხმარებიან უკრაინას ბოროტებასთან ბრძოლაში და ყველაფერს აკეთებენ მისი გამარჯვებისთვის, ან ირჩევენ სტრატეგიას, რომელიც აჭიანურებს ამ გამარჯვებას.

- სხვათა შორის, დასავლური და უკრაინული მედიით ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს დასავლელი ლიდერები ცდილობენ ზელენსკი რუსეთთან დაკავშირებით კომპრომისებზე დაითანხმონ და პუტინს სახე შეუნარჩუნონ, რას ფიქრობთ?

- პუტინი ბოროტების იმპერიის წარმომადგენელია, დამპყრობელი, სხვისი ტერიტორიების მიმტაცებელი და პატარა სახელმწიფოების მჩაგვრელი. დღეს მისი სახის შენარჩუნებაზე საუბარი უბრალოდ უარის თქმაა ისეთ ღირებულებებზე, როგორიცაა სიცოცხლე, ადამიანი, თავისუფლება, სუვერენიტეტი.

- ამერიკელი გენერალი ბენ ჰოჯესი აცხადებს, რომ რუსეთი უკრაინაში დამარცხდება, რამდენიმე წელიწადში დაიშლება და ამ სცენარისთვის საქართველო მზად უნდა იყოს. რამდენად რეალურია ასეთი დამაიმედებელი პროგნოზი?

- გენერლის მოსაზრება, რა თქმა უნდა, იმედის მომცემია, თუმცა ამ პროცესის დაწყებისთვის ჯერ უკრაინამ უნდა გაიმარჯვოს ამ ბრძოლაში, რაც პირდაპირპროპორციულია საქართველოს გამარჯვებისა. ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესია ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება და საქართველოს იურისდიქციის სრულ ტერიტორიაზე გავრცელება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ერთიანი სახელმწიფოს ფორმირებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ეს ყველაფერი ოკუპანტი ქვეყნის დაშლის შედეგად მოხდება, ჩვენი ბრძოლის ველი უკრაინის საკეთილდღეოდ უნდა გავაძლიეროთ.

- ბელარუსის პრეზიდენტი სოხუმში სეპარატისტების ლიდერებს შეხვდა, რამ გადააწყვეტინა ლუკაშენკოს ამგვარი ნაბიჯის გადადგმა და ხომ არაა მოსალოდნელი, ბელარუსმა ე.წ. აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს?

- პირველი - ეს არის სრულიად არადიპლომატიური, ჩვენ მიმართ არამეგობრული ნაბიჯი, რომელსაც უნდა მოჰყვეს საქართველოს ხელისუფლებისგან შესაბამისი რეაგირება. მეორე - ლუკაშენკო კარგად ასრულებს პუტინის სურვილებს, ღრმად მწამს, რომ მას სხვა გზა არ ჰქონდა. ის პუტინის ინტერესების გამტარებელი და ანგარიშვალდებულია. მესამე - თავისი მმართველობის სტილის გამო ის გარიყულია ცივილიზებული სამყაროსგან, სხვას რას უნდა ველოდოთ მისგან? აღიარებას? ეს შეცვლის ჩვენი ქვეყნის განწყობას ბელარუსის მიმართ. პუტინის პოლიტიკის გამტარებელ ლუკაშენკოს ბელარუსი ისევე დაიმსხვრევა, როგორც თავად ეს ბოროტი იმპერია.

- დაბოლოს, როგორ წარმოგიდგენიათ პუტინის და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავალი რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ?

- რუსეთ-უკრაინის ომმა მკვეთრად გვაჩვენა შემდეგი, პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობა მხარს უკრაინის სუვერენიტეტს უჭერს, ნაწილი - რუსეთის პოლიტიკის გამტარებელია, ზოგი კი ცდილობს შუალედი გამონახოს ამ დაპირისპირებაში. აქედან გამომდინარე, რა დასკვნების გაკეთება შეგვიძლია? რუსეთის დამარცხება ნიშნავს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში პუტინის მარიონეტული ხელისუფლების ავტომატურად დამხობას და ხალხის მიერ არჩეული დემოკრატიული ხელისუფლების ფორმირებას, ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც შუალედურ მდგომარეობას ამჯობინებდნენ, ავტომატურად გამარჯვებულის პოზიციას დაიჭერენ, რაც საბოლოოდ დაასუსტებს რუსეთის ხელისუფლებას. აქედან გამომდინარე, იმპერიალისტური განზრახვა და წარსულად ქცეული საბჭოთა კავშირის მსგავსი გაერთიანების აღდგენის მცდელობა ისევეა დამარცხებისთვის განწირული, როგორც უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის შეჭრა გამოდგა.

უკრაინის რეგიონების ანექსიისთვის ახალი სანქციები - რუსეთს

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებებს უკრაინის ოკუპირებული რეგიონების ანექსიის შესახებ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთს სანქციების ახალი პაკეტი დაუწესა, რომელშიც რუსეთის უკრაინაში შეჭრასთან დაკავშირებული 1000-ზე მეტი ფიზიკური პირი და ორგანიზაციაა შესული. სანქცირებულ პირთა შორის არიან რუსეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი ელვირა ნაბიულინა, რუსეთის ვიცე-პრემიერი ალექსანდრე ნოვაკი, რუსეთის პრემიერ-მინისტრ მიხაილ მიშუსტინისა და თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს ოჯახები, სახელმწიფო სათათბიროს 109 წევრი, რუსეთის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭო და მისი 169 წევრი. „ჩვენ გვერდზე ვერ გავდგებით, როცა პუტინი თაღლითურად ცდილობს უკრაინის ნაწილის ანექსიას. ფინანსთა სამინისტრო და და აშშ-ის მთავრობა დღეს იღებენ ყოვლისმომცველ ზომებს, რათა კიდევ უფრო შეასუსტონ რუსეთის ისედაც დეგრადირებული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი და შეარყიონ მისი უნარი, აწარმოოს უკანონო ომი“, - განაცხადა აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა ჯანეტ იელენმა.

უკრაინის ოთხი ტერიტორიის უკანონო ანექსიის საპასუხოდ რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციები დაანონსა გაერთიანებულმა სამეფომ. ბრიტანეთის საგარეო უწყების ცნობით, ახალი ზომები შეზღუდავს რუსეთის წვდომას ბრიტანეთის მთავარ კომერციულ და ტრანზაქციულ სერვისებზე, ასევე აკრძალავს რუსეთში თითქმის 700 სახეობის საქონლის ექსპორტს, რომლებიც გადამწყვეტია სერიული წარმოებისთვის. „გაერთიანებული სამეფო კატეგორიულად გმობს პუტინის განცხადებას უკრაინის ტერიტორიის უკანონო ანექსიის შესახებ. ჩვენ არასოდეს ვაღიარებთ ამ ყალბი რეფერენდუმის შედეგებს ან უკრაინის ტერიტორიის ანექსიას. რუსეთის რეჟიმმა პასუხი უნდა აგოს საერთაშორისო სამართლის ამ საზიზღარ დარღვევაზე, სწორედ ამიტომ ვმუშაობთ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა გავაძლიეროთ ეკონომიკური ზეწოლა ახალი მიზნობრივი სერვისების აკრძალვით. ის, რაც ხდება უკრაინაში, ჩვენთვის მნიშვნელოვანია და გაერთიანებული სამეფო ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დაეხმაროს მათ ბრძოლას თავისუფლებისთვის, - განაცხადა გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეიმზ კლევერლიმ, - დავიბარე რუსეთის ელჩი ანდრეი კელინი, რათა მკაცრად გავაპროტესტო პუტინის განცხადება სუვერენული უკრაინის ტერიტორიის უკანონო ანექსიის შესახებ“.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებებს უკრაინის ოლქების - ხერსონისა და ზაპოროჟიეს „დამოუკიდებელ“ ტერიტორიებად აღიარების შესახებ. „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, ხალხთა თანაბარი უფლებებისა და თვითგამორკვევის პრინციპის აღიარებითა და დადასტურებით, რომელიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, ხერსონის რეგიონის ხალხის მიერ, რეფერენდუმზე გამოხატული ხალხის ნების გათვალისწინებით, რომელიც გაიმართა 2022 წლის 27 სექტემბერს, ვადგენ: აღიარებულ იქნას ხერსონის ოლქის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა“, - ნათქვამია დოკუმენტში. ამავე შინაარსის განკარგულება გამოქვეყნებულია ზაპოროჟიეს ოლქის „დამოუკიდებლად“ აღიარებასთან დაკავშირებითაც.

* * *

თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის აზრით, რუსეთსა და უკრაინას შორის მოლაპარაკებებს კიდევ ერთი შანსი უნდა მიეცეს. ინფორმაციას ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტის ადმინისტრაცია ერდოღანის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან გამართული სატელეფონო საუბრის შემდეგ ავრცელებს. კერძოდ, თურქეთის პრეზიდენტმა მზაობა გამოთქვა, ხელი შეუწყოს უკრაინა-რუსეთს შორის მოლაპარაკებებს. როგორც მან აღნიშნა, რუსეთსა და უკრაინას შორის ტყვეების წარმატებული გაცვლა და „მარცვლეულის შეთანხმება“, თურქეთმა გაეროსთან ერთად შეიმუშავა. ერდოღანმა პუტინს ამ შეთანხმების გაგრძელებისკენ მოუწოდა. თურქეთის ლიდერმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში საჭიროა ნაბიჯების გადადგმა „დაძაბულობის შესამცირებლად“.

* * *

ირანში საპროტესტო აქციები გრძელდება, დაღუპულთა რიცხვი კი 83-მდე გაიზარდა. მათ შორის არიან ბავშვები. ირანის სახელმწიფო ტელევიზიის ინფორმაციით, პოლიციამ პროტესტის ბევრი მონაწილე დააკავა. ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის ცნობით კი დაკავებულთა შორის არის მინიმუმ 28 ჟურნალისტი. ირანში საპროტესტო აქციები 22 წლის ქალის, მაჰსა ამინის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო. გოგონა ზნეობის პოლიციამ ჰიჯაბის „არასათანადო ტარების“ გამო დაიკავა, ის განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

* * *

ავღანეთის დედაქალაქში ქაჯის საგანმანათლებლო ცენტრში მომხდარი აფეთქების შედეგად სულ მცირე 23 ადამიანი დაიღუპა, 36 კი დაშავდა. მედიის ინფორმაციით, საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოცდა მიმდინარეობდა, როდესაც თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა. დაშთე ბარჩის დასახლებაში, სადაც აფეთქება მოხდა, ბევრი ჰაზარი ცხოვრობს. აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არც ერთ ტეროორისტულ დაჯგუფებას არ აუღია. შიიტი ჰაზარები დიდი ხანია განიცდიან დევნას როგორც „თალიბანის“, ასევე ე.წ. ისლამური სახელმწიფოსგან. „თალიბანის“ შინაგან საქმეთა სამინისტროში თავდასხმა დაგმეს.

მოამზადა
ია შველიძემ

რატომ არის ხულოში გაზიფიცირება დასაჩქარებელი?

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ხულოს მუნიციპალიტეტში მრავალი პროექტი წარმატებით ხორციელდება. მათ მიმდინარეობაზე, სხვა საკითხებზე მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე გვესაუბრება.

- გასული ორი წელი, პანდემიიდან გამომდინარე, ისეთი აქტიურობით გამორჩეული არ ყოფილა, როგორიც წლევანდელი. ეკონომიკური, სოციალური, კულტურული პროექტები ხორციელდებოდა, მაგრამ ადამიანები შიშის და დიდი სტრესის ფასად მუშაობდნენ. იმ წლებში დაიწყო ხულო-გოდერძი-ზარზმის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის სამუშაოები. საძირკველი ჩაეყარა ბეღლეთის, განახლების თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი საჯარო სკოლების მშენებლობას, რომელიც უკვე ხარაჩოებს იხსნის. აჭარის მთიანეთში ქვემო ვაშლოვანი პირველი სოფელია, სადაც საჯარო სკოლა და 150 მოსწავლეზე გათვლილი საცხოვრებელი კამპუსი შენდება. ვაშლოვანი მალე ძლიერ საგანმანათლებლო კერად იქცევა, სოფელს დაცარიელების საფრთხე არ ემუქრება. საზოგადოებამ კარგად იცის, რა როლი შეასრულა ხულოს ცენტრში არსებულმა სკოლა-ინტერნატმა აჭარის მთიანეთის ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეში. ახლა ეს ფუნქცია საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის სკოლას დაეკისრა. ხულოს ცენტრში ასევე გვაქვს საკმაო კონტინგენტიანი საჯარო სკოლა.

- ვაშლოვანის გარდა კიდევ რომელ სოფლებს არ ემუქრება დაცარიელების საფრთხე?

- დიდაჭარას, ღორჯომს, მეკეიძეებს, ირემაძეებს, დეკანაშვილებს, ქედლებს, ოქრუაშვილებს, ელელიძეებს. 1989 წლიდან მოყოლებული, ხულოდან ქვეყნის 40-მდე ქალაქსა და მუნიციპალიტეტში 5500-მდე ოჯახია გადასული. ჩვენმა შრომისმოყვარე მოსახლეობამ წალკაში, მარნეულში, ბოლნისში, თეთრიწყაროში, გორში, გურიაში შესანიშნავი ცხოვრება მოიწყო.

- მუნიციპალიტეტებიდან გადასულებთან რა ურთიერთობები გაქვთ?

- ერთმანეთს არ ვივიწყებთ, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის ხულო-გოდერძი-ზარზმის მონაკვეთის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად რეკონსტრუქცია-რესტავრაციის შემდეგ, ამ გზით ზამთარშიც შესაძლებელი იქნება გადაადგილება და ურთიერთობებიც გაღრმავდება. ამას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს გოდერძის სამთო-სათხილამურო ბაზა, ოთხსეზონიან კურორტად გოდერძის გადაქცევა. გოდერძის განვითარებით მეტ დატვირთვას იძენს ბეშუმი, მწვანე ტბა, სხვა ტერიტორიები. რა დასამალია და, დღესაც, დიდთოვლობისა და ყინვების გამო, თითქმის 4-4,5 თვის განმავლობაში გოდერძის უღელტეხილზე ტრანსპორტით გადაადგილება იზღუდება. გზის რეკონსტრუქციის დასრულების შემდეგ სხვა სურათი გვექნება. ქვეყნის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის თანადგომით, უცხოელი და ადგილობრივი ბიზნესმენების ინვესტიციებით გოდერძი განვითარებად კურორტად იქცა.

- ბეშუმი, მწვანე ტბა ახსენეთ. მათი ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად რა კეთდება?

- კარგია, რომ საინფორმაციო საშუალებები, გაზეთი «აჭარა» ჩვენს მუნიციპალიტეტში, თუნდაც გოდერძიზე და მის შემოგარენში მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სხვა სიახლეებს ოპერატიულად აშუქებს. ჩემი მერად მუშაობის პერიოდში ასფალტი დაიგო გოდერძი-ბეშუმის გზაზე. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გოდერძი-მწვანე ტბის 7-კილომეტრიან მონაკვეთზე ყველა სახის ტრანსპორტით მიმოსვლა იქნებოდა შესაძლებელი. ეს მოხერხდა და მწვანე ტბამ სხვა დატვირთვა შეიძინა. სულ მალე გოდერძი-მწვანე ტბა-დანისპარაულის საავტომობილო გზა სრულად მოწესრიგდება. «ქართული ოცნების» ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, გოდერძი-ბეშუმის საავტომობილო გზის გაყოლებაზე 10 ჰექტარი ტერიტორია შემოვღობეთ. ზღვის დონიდან 1900-2000 მეტრ სიმაღლეზე, ალპური ბაღი მოვაწყვეთ. ამაში თავისი წვლილი შეიტანა შპს «აჭარისწყალი ჯორჯიამაც», ალპური ბაღი მრავალ ტურისტს იზიდავს, ამასთან მეცნიერული კვლევა-ძიების ცენტრადაც იქცა. სხალთა-ხიხანის, ღორჯომის ხეობებში ძალიან ცოტა მონაკვეთზე დარჩა ასფალტ-ბეტონის საფარი დასაგები ზამლეთი-ხიხაძირი, ხიხანის ციხის გზაზე. დაწყებულია და მალე დასრულდება ხიხანის ციხეზე ასასვლელი გზა-ბილიკის კეთილმოწყობა. უკვე აღარ იშლება აქ შემორჩენილი კედლები. მათი რესტავრაცია-კონსერვაცია ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შევძელით. მაღალი გამავლობის ტრანსპორტსაც უჭირდა ხიხანის ციხესთან მისვლა, ეს პრობლემაც დაძლეულია. მიმდინარეობს სამუშაოები ჩირუხი-სარიჩაირი-გოდერძის უღელტეხილი-ბეშუმის ახალ ტურისტულ მარშრუტად გადასაქცევად. გზების კეთლმოწყობის სამუშაოები დაწყებულია. ეს მარშრუტი მრავალ ვიზიტიორს მოიზიდავს. წინასაარჩევნოდ ღორჯომის ხეობის ამომრჩევლებს შევპირდი, რომ ღორჯომი-ზოტიყელი-ბახმაროს საავტომობილო გზა შეკეთდებოდა, რაც შეპირებად აღარ რჩება. გოდერძის უღელტეხილი თუ სამცხე-ჯავახეთთან და თრიალეთთან გვაკავშირებს, ეს გზა მეზობელი გურიის რეგიონებთან, კურორტ ბახმაროსთან დაგვაახლოებს. თუმცა გზაც რომ არ იყოს, დაახლოებას და დამეგობრებას ვერაფერი დააბრკოლებს. ვინც წლევანდელ, თუნდაც პანდემიამდელ სახალხო დღესასწაულ «ზოტიყელობას» დაესწრო, დამერწმუნება, თუ რა თბილი და კეთილმეზობლური ურთიერთობა გვაქვს ჩოხატაურის, სხვა მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებთან, წესრიგის დამცველებთან. იქაც, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჩვენგან გადასულია. სამაგალითოდ ნარუჯა, ნასაკირალი, ლაითური, შრომის თემიც საკმარისია. შარშან უხვთოვლიანი ზამთარი იყო. ექსტრემალებმა უკვე დაიწყეს ბახმარო-მერიაყელი-თაგინური-გომის მთის გზაზე კესბორერებით მოძრაობა. მჯერა, ეს მარშრუტი სამომავლოდ მეტ დატვირთვას შეიძენს. სამთო ტურიზმის განვითარება ღორჯომის ხეობის მოსახლეობას სიკეთეს მოუტანს.

- საავტომობილო გზების, ტურისტული მარშრუტების კეთილმოწყობაზე საუბრობთ. სხვა ინფრასტრუქტურა ყურადღების გარეშე ხომ არ გრჩებათ?

- პირიქით, გზა ხელს გვიწყობს სხვა ინფრასტრუქტურის განვითარებაში. იგი ამ ხეობის ღირსეული შვილის თამაზ ირემაძის სახელს ატარებს. უკვე ხარაჩოებს იხსნის სპორტის სასახლე. სპორტული მოედანი შენდება მთა ზოტიყელში. ტურისტული ლოკაციები გაკეთდა თაგოში, ჩაოში. შეკეთდა ხულო-თაგოს ბაგირგზა. ვალამაზებთ სოფლის ცენტრებს. სოფელ გოგაძეების მომიჯნავედ ადრე მეცხოველეობის ფერმა იყო. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი აქ საცხენოსნო-სპორტული კომპლექსის მშენებლობას აპირებს. ეს რამდენიმე მილიონიანი პროექტია. მნიშვნელოვანი თანხებია მობილიზებული დაბა ხულოს ცენტრის კეთილმოწყობისთვის. მალე აქ თანამედროვე სავაჭრო ცენტრი გვექნება, რომელსაც ბიზნესმენი თენგიზ ბაკურიძე აშენებს.

- როგორც ვიცი, ისტორიული ძეგლები, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები მისახედია...

- გეთანხმებით. ქვეყნის, აჭარის კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის სააგენტოები გვეხმარებიან. მისახედია ვადრციხე, ციხიყელი, დიაკონიძეების, საციხურის ციხეების ნაშთები. კალოთაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით ეკლესიის რესტავრაცია მიმდინარეობს. მალე ანალოგიური სამუშაოები ვერნებშიც დაიწყება. ჩვენ ტოლერანტები ვართ და არც მეჩეთები გვრჩება უყურადღებოდ. გვსურს, წარსული დიდების ნაშთები თაობებს შევუნარჩუნოთ, ჩვენი კუთხით დაინტერესებულ უცხოელ და ადგილობრივ ვიზიტიორებს გავაცნოთ.

- ორწლიანი პაუზის შემდეგ, სახალხო დღესასწაულებიც აღნიშნეთ.

- წელს პირველად «შუამთობაზე» ცნობილი ქართველი მომღერლები მოვიპატიჟეთ. მათთან ერთად დღესასწაული ხულოს, ღორჯომის, ხიხაძირის, დიოკნისის კულტურის სახლებთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა და ფოლკლორულმა ანსამბლებმა გაგვილამაზეს. მისასალმებელია, რომ არეალი გააფართოვა საერთაშორისო ლიტერატურულმა ფესტივალმა «ზე-კართან». ხულოს თეატრის დარბაზში შედგა ბესო სოლომონაშვილის მხატვრული ფილმის «ბოსტანი კონფლიქტის ზონაში» პრემიერა. თეატრის ეზოში წლევანდელი ფესტივალის დასკვნითი ღონისძიება გაიმართა. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, შუახევის მუნიციპალიტეტის მერია, სასტუმრო «შატო ჩაო» ჩვენთან ერთად იყო ჩართული ფესტივალის ორგანიზებაში. მისასალმებელია ბიზნესმენ თამაზ (თომა) მახარაძის თანადგომა. მასთან ერთად ბიზნესმენები გოჩა ირემაძე, ზვიად აბულაძე, რაულ გაბაიძე მშობლიურ ხულოსა და ხულოელებს ყურადღებას არ აკლებენ. ახლოვდება «ტბელობა». ვცდილობთ, ისიც მაღალ დონეზე ჩავატაროთ. ჩვენ დავამკვიდრეთ იმ პიროვნებების საღამოების მოწყობა, რომლებსაც დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ხულოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში, ვირჩევთ «საპატიო ხულოელებს». მადლობის სიგელებს გადავცემთ ღვაწლმოსილ პედაგოგებს, კულტურის მუშაკებს, წარმატებულ სპორტსმენებს, ხულოს თანამდგომ პიროვნებებს.

> ***„ჩემი მერად მუშაობის პერიოდში ასფალტი დაიგო გოდერძი-ბეშუმის გზაზე. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გოდერძი-მწვანე ტბის 7-კილომეტრიან მონაკვეთზე ყველა სახის ტრანსპორტით მიმოსვლა იქნებოდა შესაძლებელი. ეს მოხერხდა და მწვანე ტბამ სხვა დატვირთვა შეიძინა. სულ მალე გოდერძი-მწვანე ტბა-დანისპარაულის საავტომობილო გზა სრულად მოწესრიგდება. «ქართული ოცნების» ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, გოდერძი-ბეშუმის საავტომობილო გზის გაყოლებაზე 10 ჰექტარი ტერიტორია შემოვღობეთ. ზღვის დონიდან 1900-2000 მეტრ სიმაღლეზე ალპური ბაღი მოვაწყვეთ***

- ხულოში საქვეყნოდ აღიარებული სპორტსმენებიც გყავთ. როგორ მიაღწიეს ასეთ წარმატებებს?

- პირველ რიგში, სახელოვანი მწვრთნელების დახმარებით. აწ განსვენებული ლევან შავაძის, გოდერძი ბოლქვაძის გზას წარმატებით აგრძელებენ ავთანდილ აბულაძე, მალხაზ სოლომონიძე, გოჩა შავაძე, მიხეილ კოჩალიძე და სხვები. სულ მალე ხულოში სპორტის ახალი სასახლე გვექნება. ნორმალური მატერიალური ბაზა, კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები ხელს შეუწყობს ახალი სახეების წარმოჩენას. გვახარებს ლერი, ოთარ აბულაძეების და სხვების წარმატებები. წარსულ დიდებას იბრუნებენ სათხილამურო სპორტით გატაცებული გოგონები და ვაჟები. ხულოში ნამდვილად არის რესურსი სახელოვანი სპორტსმენების აღსაზრდელად და ამ რესურსს მიზნობრივად გამოვიყენებთ.

- ზამთარი მთიელი კაცისთვის მკაცრ გამომცდელად რჩება, მისი უმტკივნეულოდ «გადაგორებისთვის» რას აკეთებთ?

- ხულოელი კაცი ზამთრის დასრულებისთანავე მომავალი ზამთრისთვის იწყებს მზადებას. ყველაზე შრომატევადი მაინც შემოდგომის დღეებია. მოსავალი ორგანიზებულად ბინავდება. მთები დატოვეს მეცხოველეებმა. ტყიდან გამოაქვთ შეშის ზამთრის მარაგი, სამასალე მერქანი, რომელიც ბილეთის სახით თითოეულ პირზეა გაცემული. ტყის რესურსები ძველებურად აღარ ნიავდება. ეს ღვთის ბოძებული განძი რომ შევინარჩუნოთ, სოფლების, თუნდაც დაბა ხულოს გაზიფიცირების პროცესი დასაჩქარებელია.

ბათუმი ევროპის მდგრადი ენერგეტიკის კვირეულს შეუერთდა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ჩვენი ქალაქი ევროპის მდგრადი ენერგეტიკის კვირეულს შეუერთდა. კვირეულის ფარგლებში, თავისუფალ სივრცეში გაიმართა ფილმის ჩვენება კლიმატის ცვლილების შესახებ, მოეწყო ველომსვლელობა და გამწვანების აქცია ცენტრალურ პარკში.

„მერების შეთანხმების“ ხელმოწერით აღებული ვალდებულების მიხედვით, ბათუმმა შეიმუშავა სტრატეგიული დოკუმენტი - მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა.

ბათუმის მერიის ინფორმაციით, მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ბათუმში არაერთი პროექტი განხორციელდა და მიმდინარეობს. მათ შორის, ბათუმი პირველი ქალაქი იქნება საქართველოში, სადაც საბავშვო ბაღებში ენერგოეფექტურობის ევროპული სტანდარტები დაინერგება და აღიჭურვება შესაბამისი ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიებით.

აეროს განვითარების პროგრამისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით, ბათუმი გახდა საქართველოში პირველი ქალაქი, სადაც ნულოვანი გამონაბოლქვის ელექტროავტობუსები მოძრაობს.

დაიწყო განათების მოდერნიზაციის განხორციელება, რაც გულისხმობს წლის ბოლომდე, ქალაქის მასშტაბით, 15000-მდე ენერგოეფექტური LED განათების მონტაჟს.

- ბათუმი პირველი ქალაქია რეგიონში, რომელმაც დანერგა ნულოვანი გამონაბოლქვის მქონე ელექტროავტობუსების მოძრაობა. ამავდროულად, ველოგადაადგილების მიმართულებით გვაქვს კონკრეტული ხელშესახები წინსვლა. ვახორციელებთ ისეთ მნიშვნელოვან პროექტებს, როგორიც არის ენერგოეფექტური ბაღების მშენებლობა ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად. მსგავს ღონისძიებებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მომავალშიც ჩაერთვება, - აღნიშნა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

„ᲔᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲡ“ – ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ – ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲘᲛᲜᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ 27 48 93

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ - „ᲔᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲡ“ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ, ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲨᲙᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲝᲠᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ

მოზარდებს და ყველა დაინტერესებულ ადამიანს საშუალება აქვს, გაეცნონ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის საქმიანობას, ასევე, შეუძლიათ დაათვალიერონ საპატრულო პოლიციის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის, მომსახურების სააგენტოს, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის, სასაზღვრო პოლიციის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, დაცვის პოლიციის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სპეცტექნიკა და აღჭურვილობა.

სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, სხვადასხვა შემეცნებით და გასართობ აქტივობაში ბავშვები მონაწილეობენ.

ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲛᲝᲜᲝᲚᲘᲗᲘ“ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲡ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ

ᲜᲐᲘᲠᲐ ᲨᲣᲢᲙᲐᲠᲐᲫᲔ 27 48 93

ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲙᲕᲔᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ. ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲣᲒᲖᲝ-ᲣᲙᲕᲚᲝᲓ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲗᲐ ᲡᲙᲕᲔᲠᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲝᲠᲘᲐᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲙᲕᲔᲗᲐᲨᲘ

პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება. მოეწყობა საბავშვო ატრაქციონები, განთავსდება საპარკე ინვენტარი და დამონტაჟდება ტრენაჟორები. მთლიანად მოწესრიგდება განათების სისტემა.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი გაეცნო.

„დანაპირები შესრულებულია, პუშკინის ქუჩაზე დავიწყეთ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სკვერის რეაბილიტაცია. მიმდებარე ტერიტორიაზე კი, დამატებით, კიდევ ერთი სკვერი მოეწყობა. ასევე, გათვალისწინებულია საბავშვო ატრაქციონების განთავსება. ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით, დამონტაჟდება ტრენაჟორები, ხოლო არსებულ სპორტულ მოედანს ჩაუტარდება რეკონსტრუქცია“, - განაცხადა არჩილ ჩიქოვანმა.

სამუშაოებს კომპანია „მონოლითი“ აწარმოებს. პროექტისთვის 300 ათასამდე ლარი გამოიყო.

ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲡ

ᲜᲐᲜᲐ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ 577 20 35 90

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲔ-7 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲢᲝᲕᲔᲑᲔᲜᲔᲡ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲛᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲛ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲮᲓᲐ. ᲐᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲙᲘ ᲛᲐᲡ ᲡᲐᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲐᲢᲝᲕᲔᲑᲔᲜᲔᲡ. აღსანიშნავია, რომ სკოლაში, კედელზე, სხვა სახელმწიფოების დროშებთან ერთად, ასევე იყო რუსეთის დროშა, თუმცა ფაქტის გასაჯაროების შემდეგ, ყველა, გარდა საქართველოს დროშისა, ჩამოხსნეს.



დირექტორის გათავისუფლების შესახებ ცნობა აჭარის განათლების მინისტრმა დაადასტურა. მაია ხაჯიშვილმა განმარტა, რომ გადაწყვეტილება მოკვლევის საფუძველზე მიიღო.

- სამინისტრომ მოიკვლია აღნიშნული ფაქტი, კერძოდ, ვისი ინიციატივით დამზადდა ან განთავსდა სკოლის სივრცეში აღნიშნული რესურსი. მოკვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველა ის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც უნდა იყოს დაცული სასწავლო რესურსის შერჩევის დროს, ასევე, კანონმდებლობაც, ამ შემთხვევაში იყო დარღვეული. სკოლის დირექცია და მთლიანად საგანმანათლებლო სივრცე მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს სასწავლო რესურსების შერჩევას, იქნება ეს სახელმძღვანელო თუ სხვა, ვინაიდან ვსაუბრობთ ქვეყნის კანონმდებლობაზე და ბავშვების მომავალზე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რაც დადგინდა მოკვლევის საფუძველზე, სამინიტრომ მიიღო გადაწყვეტილება და მითითებული საჯარო სკოლის დირექტორი დატოვებს თანამდებობას, - განაცხადა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

სკოლაში მომხდარი ფაქტის შესახებ ინფორმაცია, ექსკლუზიურად, TV 25-მა გაავრცელა, რომლის შემდეგაც სამინისტროს ფაქტზე რეაგირება მოუწია.

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲘᲛᲜᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხელვაჩაურის მერმა ზაზა დიასამიძემ საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემაძესთან, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროს მამუკა თურმანიძესთან და უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად მოინახულა.

ბაშკო-ეკალაური-ლორთქიფანიძეების საავტომობილო გზის 1,8 კმ სიგრძის მონაკვეთზე ასფალტ-ბეტონის საფარი მოეწყობა. ამ ეტაპზე, პროექტის მიხედვით მიმდინარეობს ბეტონის საყრდენი კედლების, გაბიონის, სანიაღვრე არხების, მილების და რკინა-ბეტონის კიუვეტების მოწყობა.

სამუშაოებს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს.

ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲖᲔ

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲘᲛᲜᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ 27 48 93

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გამოცემის **National Geographic**-ის სამოგზაუროკულინარიული პორტალი **National Geographic Traveller Food**-ი საქართველოს შესახებ სტატიას ამზადებს.

გამოცემის ჟურნალისტი ჯენიფერ ჰათამსი საქართველოს ტუ-

რიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ეწვია. სპეციალურად ჯენიფერ ჰათამსისთვის გაიმართა ღვინის დეგუსტაცია და კულინარიული მასტერ-კლასი. ქართული ტრადიციული კერძების მომზადებაში მონაწილეობა მიიღო ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა მედეა ჯანიაშვილმა.

- ეს ჩვენთვის კიდევ ერთი დამატებითი შესაძლებლობაა, ჩვენი კულინარია, რითაც მსოფლიო მასშტაბით ასე ვამაყობთ, გავაცნოთ პოტენციურ ვიზიტიორებს აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან თუ ევროპიდან. ამ გამოცემას მილიონზე მეტი მკითხველი ჰყავს. ეს დიდი აუდიტორიაა ჩვენი ტურისტული პოტენციალის უკეთ წარმოსაჩენად, - განაცხადა ჯანიაშვილმა.

როგორც ტურიზმის ადმინისტრაციაში აცხადებენ, **National Geographic Traveller Food**-ის სტატია ხელს შეუწყობს საქართველოს ტურისტული ადგილებისა და გასტროტურიზმის პოპულარიზაციას დიდ ბრიტანეთში, აშშ-სა და ევროპაში.

ᲢᲠᲔᲜᲘᲜᲒᲘ - ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲘᲛᲜᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისათვის ტრენინგი ჩატარდა, რომელიც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით განხორციელდა.

ტრენინგზე მთავარი განსახილველი თემა იყო „ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირები“.

პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება სამუშაოს შეფასებაზე დაფუძნებული თანამედროვე პროფესიული განვითარების მიდგომების დანერგვის პროექტი, რომლის მიზანია ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტების გაძლიერება მენტორინგის გზით. შეხვედრას მერიისა და საკრებულოს სამსახურების ხელმძღვანელები და განყოფილებების უფროსები ესწრებოდნენ.

პროფესიული განვითარებისთვის

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში „პროფესიული განვითარების საჭიროებების შეფასების“ შესახებ სემინარი გაიმართა

იგი განკუთვნილი იყო მერიის პირველადი და მეორადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისთვის, რომლებიც უშუალოდ უზრუნველყოფენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი მოხელეების შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენას.

სემინარი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და საჯარო სამსახურის ბიუროს ერთობლივი პროექტის - „სამუშაოს შეფასებაზე დაფუძნებული თანამედროვე პროფესიული განვითრების მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონების 11 მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში განხორციელდა.

სემინარს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი ნინო კვირიკაშვილი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი თეა რუსიტაშვილი უძღვებოდნენ.

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

„საინფორმაციო ცენტრმა ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ ქედაში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, საინფორმაციო შეხვედრა გამართა

შეხვედრას თემაზე - „საქართველოს ევროპული პერსპექტივა - საქართველოს შემდგომი ნაბიჯები ევროპული ინტეგრაციის გზაზე“ საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის გენერალური დირექტორატის ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი ზურა ხამაშურიძე და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის აჭარის რეგიონული წარმომადგენელი ირმა გაბინაშვილი უძღვებოდნენ.

ღონისძიებას ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რომან დავითაძე, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. ისაუბრეს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობაზე, პროცედურებსა და გაწევრიანების შემდგომი სარგებლის მნიშვნელობაზე.

„მოხალისეებს“ უნიფორმები გადასცეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომში პროექტი „მოხალისე“ დაიწყო

ღონისძიების ფარგლებში ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სახანძრო სამაშველო ძალების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლაშა თვაური და ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე პროექტ „მოხალისისთვის“ შერჩეულ კანდიდატებს შეხვდნენ და მათ სპეციალური უნიფორმები გადასცეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ღორჯომელ „მოხალისეებს“ იმავე დღეს სახანძრო ავტოცისტერნა, შესაბამისი აღჭურვილობით გადასცა.

პროექტი „მოხალისე“ ხულოს მუნიციპალიტეტიდან დაიწყო და უახლოეს მომავალში რეგიონის სხვა რაიონებს მოიცავს.

- „მოხალისე“ საზოგადოებრივი პროექტია, რომელიც სტიქიებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციის პროცესებში მოხალისეთა ჩართულობას უზრუნველყოფს. იგი ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირების ორგანიზებულ ჩართულობას ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობაში, ხანძრების შემთხვევაში კი პირველადი რეაგირება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. „მოხალისის“ მონაწილეების უსაფრთხოებას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური გააკონტროლებს, - გვითხრა ვახტანგ ბერიძემ.

შერჩეულ მოხალისეებს ადგილზე გადაამზადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლები, რის შემდეგაც ისინი სრულად ჩაერთვებიან აღნიშნულ პროექტში.

პროექტ „მოხალისის“ განხორციელება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა 2019 წელს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან დაიწყო. ამ დროისთვის პროექტში 313 მოხალისეა ჩართული.

საშველი აღარ არის

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

აჭარის მთიანეთში შემოდგომა კალთას იბერტყავს. გვალვიანმა ზაფხულმა მოსავალს თავისი კვალი დაატყო. ბოსტნეულისა და ბაღჩეულის მოსავალმა იკლო ზამლეთის, დღვანის, ოლადაურის, უჩამბის, ზვარეს, სხალთის, ვაშლოვანის, ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებში

გვალვამ მსხმოიარე ხეხილის ბაღებზეც გავლენა იქონია. მსხლის, ვაშლის, კომშის ნაყოფი, ვაზის მარცვალი დაპატარავებულია. ბუნების ჭირვეულობას მხეცების შემოსევაც დაერთო. ტურები, დათვები დღისითაც აღარ ერიდებიან ადამიანებს. ჯერ იყო და თხილის მოსავალი გაანადგურეს, შემდეგ სიმინდის ყანებს შეესივნენ. თხილი დაიკრიფა, ყანებიდან სიმინდის მოსავალი ბეღლებში გადაიტანეს. ახლა სიმწიფის სტადიაში შესულ ყურძენს ტურები ანადგურებენ, ხეხილს - დათვები, მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვსაც აღარ ინდობენ.

- პირუტყვს მეტწილად ტყისპირებსა და სოფლიდან მოშორებულ საძოვრებზე ვაძოვებთ, - გვითხრა ლაკლაკეთელმა ნოდარ კეჟერაძემ, - დათვებს ვეღარც მოსავალი გადავურჩინეთ და ვერც საქონელი. საკმარისია პირუტყვი ნახირს რამდენიმე საათით ჩამორჩეს, რომ ტურების ან დათვების მსხვერპლი ხდება. ერთეული შემთხვევა რომ იყოს, არ დავიწუწუნებდით. უკვე პრობლემის წინაშე ვდგავართ. კარგია, როცა ბუნების დამცველები დათვების მოვლა-მოშენებას, მათ ველურ პირობებში გამრავლებას ყურადღებას უთმობენ, საჯარიმო სანქციებსაც აწესებენ, მაგრამ მთავარი მაინც ადამიანია. თანადგომას და დახმარებას ველოდებით. სოფლებში უკვე მარტო გადაადგილებაც გვეშინია.

უკრაინა

ზაპოროჟიეს ოლქში, რუსული სარაკეტო თავდასხმის შედეგად დაღუპულთა პატივისცემის ნიშნად, 1-ელი ოქტომბერი გლოვის დღედ გამოცხადდა, - ამის შესახებ ზაპოროჟიეს საოლქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრ სტარუხმა განაცხადა. „ოკუპანტებმა დაარტყეს დაუცველ უკრაინელებს. ეს არის ტერორისტული ქვეყნის მიერ განხორციელებული მორიგი ტერორისტული აქტი“, - აღნიშნა სტარუხმა.

* * *

გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტერეში რუსეთს აფრთხილებს, რომ უკრაინის რეგიონების ანექსია „საშიში ესკალაცია“ იქნება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის რეგიონში მშვიდობის პერსპექტივას. „უკრაინის დონეცკის, ლუგანსკის, ხერსონისა და ზაპოროჟიეს რეგიონების ანექსიის ნებისმიერ გადაწყვეტილებას არ ექნება იურიდიული ღირებულება და დაგმობას იმსახურებს“, - აღნიშნა გუტერეშმა. მისი თქმით, თუ რუსეთი გააგრძელებს უკრაინის ოთხი რეგიონის ანექსიის გეგმებს, ეს გაახანგრძლივებს დრამატულ ზემოქმედებას გლობალურ ეკონომიკაზე, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. „ეს ხელს შეუშლის ჩვენს უნარს, მივაწოდოთ სიცოცხლის გადამრჩენი დახმარება უკრაინაში და მის ფარგლებს გარეთ“, - აღნიშნა გუტერეშმა. როგორც ცნობილი გახდა, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გუშინ ხელი მოაწერა განკარგულებებს ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქების „დამოუკიდებელ“ ტერიტორიებად აღიარების შესახებ.

* * *

მიკოლაივის ოლქში, იუჟნუკრაინსკსა და ვოზნესენსკს შორის ტერიტორიაზე აფეთქებები მოხდა, - ამის შესახებ მიკოლაივის საოლქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვიტალი კიმი იუწყება. მისი თქმით, აფეთქება ირანულმა უპილოტო დრონებმა გამოიწვია, რომელსაც რუსები უკრაინის წინააღმდეგ ომში იყენებენ. „ერთმა „შაჰიდმა“ ცენტრში შენობა დააზიანა, ერთმა - ინფრასტრუქტურა. ადგილზე უკრაინის საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახური მუშაობს“, - აღნიშნა კიმმა. მისი თქმით, რუსებმა, ასევე, სარაკეტო თავდასხმა განახორციელეს საცხოვრებელ რაიონზე. „9-სართულიან შენობას 1 რაკეტა მოხვდა, სერიოზული დაზიანებაა, ნანგრევების ქვეშ ხალხია“, - წერს კიმი.

* * *

ბელარუსში გრძელდება აეროდრომების შემოწმება რუსი სამხედროების მიერ მათი სავარაუდო გამოყენების მიზნით, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშშია აღნიშნული. „ბელარუსში 21 სექტემბერს დაიწყო აეროდრომების ქსელის რადიოტექნიკური მხარდაჭერის შემოწმება, რაც ირიბად შეიძლება მიუთითებდეს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ ბელარუსის აეროდრომების გამოყენების შესაძლებლობაზე“, - აღნიშნულია ინფორმაციაში. გენერალური შტაბის ცნობით, განხორციელდა ბელარუსისა და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საჰაერო ძალებისა და საჰაერო თავდაცვის ძალების მომზადების ერთობლივი სასწავლო ცენტრის საავიაციო ქვედანაყოფების როტაცია. შეგახსენებთ, გავრცელებული ინფორმაციით, ბელარუსი საკუთარ ტერიტორიაზე რუსეთიდან მობილიზებული 20 000-მდე პირის განთავსებას გეგმავს.

* * *

რუსულმა ძალებმა ზაპოროჟიესთან სამოქალაქო ჰუმანიტარულ კოლონას რაკეტები ესროლეს, - ინფორმაციას ზაპოროჟიეს საოლქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალექსანდრ სტარუხი ავრცელებს. „ადამიანები რიგში იდგნენ, რომ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესულიყვნენ, რათა ახლობლები წამოეყვანათ და დახმარება მიეტანათ“, - წერს ის. ალექსანდრ სტარუხის ინფორმაციით, არიან დაღუპულები და დაშავებულები. შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარების ბრიგადებია მობილიზებული. მელიტოპოლის მერმა ივან ფედოროვმა კი განაცხადა, რომ დაშავებულებს შორის მელიტოპოლის მცხოვრებლებიც არიან. უკრაინული მედია, ზაპოროჟიეს საოლქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე დაყრდნობით, ასევე იუწყება, რომ სამოქალაქო კოლონის დაბომბვის შედეგად 23 ადამიანი დაიღუპა, 28 კი - დაშავდა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

კანონპროექტი მზადაა...

„ლელოს“ პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ იურისტების მათმა გუნდმა დაასრულა მუშაობა კანონპროექტზე, რომელიც მომავალ კვირას წარედგინება პარლამენტს. „წესდება სპეციალური საგანგებო რეჟიმი რუსეთის ფედერაციის, როგორც სამხედრო ოკუპაციის განმახორციელებელი სახელმწიფოს მოქალაქეების საქართველოში შემოსვლისთვის. სპეციალური რეჟიმი გულისხმობს რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის შემოღებას, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე მაქსიმუმ 30-დღიანი ერთჯერადი ტურისტული ვიზების გაცემას, პირები, რომლებიც წერილობით არ დაადასტურებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და რუსეთის მიერ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის ფაქტს, არ იქნებიან დაშვებული საქართველოს ტერიტორიაზე. ეს კანონი ცალსახად ამბობს, რომ საქართველოში შემოსვლაზე პრობლემები არ შეექმნებათ საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირებს, რომელთაც რუსეთის მოქალაქეობაც აქვთ. პრობლემები არ შეექმნებათ იმ პირებს, ვისაც ჰქონდა საქართველოს მოქალაქეობა და დაკარგა მოქალაქეობა - ეს არის დაახლოებით 90-99% იმ ადამიანების, ვინც საქართველოში ცხოვრობდა და ახლა რუსეთში ცხოვრობს. ასევე პრობლემები არ შეექმნებათ იმ პირებს, რომელთა ნათესავებიც ცხოვრობენ საქართველოში. ჩვენი ამოცანაა, მოწესრიგდეს პრობლემა, რუსეთის მოქალაქემ, რომელიც საქართველოში შემოდის, უნდა იცოდეს, სად შემოდის და საიდან მოდის. მას შეუძლია იყოს საქართველოში, მაგრამ - ამ პირობების დაცვით“, - განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

ამირან გურიელიძე

თამარ ტალიაშვილი ევროპის საბჭოში საქართველოს წარმომადგენლად ინიშნება

ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია. თამარ ტალიაშვილს ევროპის საბჭოში ელჩად დანიშვნის გამო სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდება. საკითხს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი ორშაბათს განიხილავს, პარლამენტი კი გადაწყვეტილებას უახლოეს სესიაზე მიიღებს. თამარ ტალიაშვილს პარლამენტში „ქართული ოცნების“ სიით ადგილმონაცვლე გრეტა წიწავა შეცვლის.

ამირან გურიელიძე

ურეხის თავშესაფარში დროებით შესახლებულ ოჯახებს ბინებით დააკმაყოფილებენ

მე-2 გვერდიდან

ეს პროექტი ძალიან მოუხდება ჩვენს ქალაქს და ამასთან ერთად უამრავი ადამიანი დასაქმდება, - განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ.

საკრებულომ მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციაც დაამტკიცა. საუბარია პროექტზე, რომელიც ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. №68-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე ერთსართულიანი, ბარაკული ტიპის, ამორტიზებული საცხოვრებელი სახლების 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლით ჩანაცვლებას ითვალისწინებს, რა დროსაც არ მოხდება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდა. დამტკიცებული კონცეფცია შესათანხმებლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს გადაეგზავნება, საიდანაც მოსული შესაბამისი დასკვნის შემდეგ განიხილება გეგმა-პროექტი.

ბათუმში, ძმები ზუბალაშვილების ქ. №36-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე, გამოჩენილი ქართველი გეოფიზიკოსის, მეცნიერის, რომის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის პეტრე მანჯგალაძის მემორიალური დაფა განთავსდება.

საკრებულოს სხდომაზე, სულ დღის წესრიგით გათვალისწინებულ 17 საკითხზე იმსჯელეს და დაამტკიცეს.

უმცროსი ბორჯღალოსნები მზად არიან...

18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი წელს პირველად იმართება საქართველოში. თამაშები თბილისში („რაგბი პლატოზე“) და რუსთავში („ხარები არენაზე“) გაიმართება. უმცროსი ბორჯღალოსნების სამწვრთნელო შტაბმა ის 26 მორაგბე შეარჩია, რომლებიც 1-10 ოქტომბერს 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონის ტიტულის დასაცავად იბრძოლებს.

მთავარი მწვრთნელ ზურაბ ამონაშვილის თქმით, შემადგენლობა ოპტიმალურია: „საფრანგეთის შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ, 35-კაციანი გაფართოებული შემადგენლობით კიდევ ორი 5-დღიანი შეკრება გვქონდა და საკონტროლო თამაში გავმართეთ „ლელოს“ ესპუარებთან, რაც მწვრთნელებს სელექციაში დაგვეხმარა. გარდა ამისა, დავინახეთ თუ როგორ გადაგვაქვს მოედანზე ის, რაზეც ვარჯიშებზე ვმუშაობთ. ნანახით კმაყოფილი დავრჩი... რაც შეეხება შემადგენლობას, საბედნიეროდ, ტრავმა არავის აწუხებს და მწვრთნელებმა ოპტიმალური რაზმი შევარჩიეთ. გარდა ამისა, ის ბიჭები, რომლებმაც ჩვენთან ერთად გაიარეს სრული მოსამზადებელი ეტაპი, რეზერვში არიან და საჭიროების შემთხვევაში სრულ მზადყოფნაში იქნებიან ტრავმირებული მოთამაშის ჩასანაცვლებლად“...

საქართველო ტიტულის დაცვას ხვალ „ხარები არენაზე“ 16:15 საათზე 1/4-ფინალში ჩეხეთთან მატჩით იწყებს. ამავე დღეს რუსთავში ესპანეთი რუმინეთს 12:45 საათზე ეთამაშება, ხოლო „რაგბი პლატოზე“ პორტუგალია გერმანიას (11:00 სთ) და ბელგია ნიდერლანდებს (14:30 სთ) შეხვდება. 5 ოქტომბერს დამარცხებული გუნდები მე-5 ადგილის, ხოლო გამარჯვებულები თასის ნახევარფინალებს გამართავენ. საქართველო, გამარჯვების შემთხვევაში, ბელგია-ნიდერლანდების წყვილს შორის უკეთესს „რაგბი პლატოზე“ 16:15 საათზე შეერკინება, ფინალები კი 9 ოქტომბერსაა ჩანიშნული.

18-წლამდელთა შემადგენლობა - 2022 წლის ევროპის ჩემპიონატზე:

შერკინება: გიორგი მჭედლიშვილი („აკადემია“), ლუკა კოტორაშვილი („ხვამლი“), შოთა ხელაძე („აია“), მიხეილ ხახუბია („ლელო“), გიგა თუთისანი („აია“), დავით მჭედლიძე („ტულონი“), თორნიკე ღანიაშვილი („ლელო“), კახა შეყილაძე („ხვამლი“), ჯაბა ოდიშარია („ლელო“), გიორგი გერგედავა („აია“), ნიკა ლომიძე („ხარები“), ნიკა აბესაძე („ლელო“), ანდრო დვალი („ლელო“), თამაზ ჭამიაშვილი („ხარები“);

ხაზი: ალექსანდრე ჯიღაური („ლელო“), ლადო ტყაბლაძე („აია“), გელა ხელაძე („ლელო“), ლუკა ჭინჭარაული („ლელო“), გიორგი ხაინდრავა („ლელო“), ლუკა კობაური („აკადემია“), ლუკა კეშელავა („არმია“), ნუგზარ ქევხიშვილი („ლელო“), ტატო ბურთიკაშვილი („ვეფხვები“), ლუკა ხორბალაძე („ლელო“), ზურა ნინიძე („ბათუმი“), ლუკა ცირეკიძე („ლელო“).

ამირან გურიელიძე

ანგინა და მისგან მომდინარე საფრთხეები

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ყელის ტკივილი ყველას გამოგვიცდია, ბავშვობიდან მოყოლებული... მისი მიზეზი ვირუსიც შეიძლება იყოს და ბაქტერიაც, კერძოდ, სტრეპტოკოკები, რომლებიც ყოველთვის არიან სასუნთქ სისტემაში და ხელსაყრელ პირობებს ელოდებიან, მაგ. სხეულის გადაცივებას. ვირუსული ანგინა თავისთავად გაივლის, სპეციფიკური მკურნალობის გარეშე, სტრეპტოკოკურმა კი მძიმე გართულებებიც შეიძლება გამოიწვიოს (მაგ. პოსტსტრეპტოკოკური გლომერულონეფრიტი).

სტრეპტოკოკური ანგინა შემოდგომა-გაზაფხულზე გვხვდება ძირითადად, უპირატესად - სასკოლო ასაკის ბავშვებში. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ბავშვები ბევრ დროს ატარებენ დახურულ სივრცეში, დიდ ჯგუფებად.

ახლა გავარკვიოთ, რა არის გლომერულონეფრიტი. ესაა გლომერულების ანთებითი დაავადება. გლომერულა თავად თირკმელში არსებული გორგლისებრი სტრუქტურაა, რომელსაც თირკმლის ძალიან წვრილი სისხლძარღვების კაპილარების ერთობლიობა ქმნის. იგი ფილტრავს სისხლს - წმენდს ჭარბი სითხისგან, ელექტროლიტებისა (Na, K, P) და ნარჩენი პროდუქტებისგან. ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერებები თირკმლის პატარა მილაკების საშუალებით უკუშეიწოვება სისხლში, დანარჩენი კი შარდსადენში გადადის და შარდთან ერთად გამოიყოფა, იდევნება მავნე ნივთიერებები.

რაც შეეხება სტრეპტოკოკს, იგი სფეროს ფორმის ბაქტერიაა, რომლის ბევრი სახეობა მუდმივადაა სასუნთქ, საჭმლის მომნელებელ და შარდ-სასქესო სისტემებში. დაავადების გამომწვევი ერთ-ერთი სახეობაა A ჯგუფის ბეტა ჰემოლიზური სტრეპტოკოკის ნეფრიტოგენური ტიპი, რომელიც იწვევს სტრეპტოკოკურ ფარინგიტს, კანის ჩირქოვან ინფექციას, რომელთა გართულებაცაა სწორედ პოსტსტრეპტოკოკური გლომერულონეფრიტი. გართულება იმუნური კომპლექსებითაა განპირობებული. სტრეპტოკოკური ინფექციის საპასუხოდ ორგანიზმში წარმოიქმნება ანტიგენ-ანტისხეულის კომპლექსები, რომლებიც სისხლით აღწევს გლომერულებში, ლაგდება სისხლძარღვებში, იწვევს ანთებას და გლომერულური ფილტრაციის დარღვევას. ეს გართულება უპირატესად გვხვდება 2-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებში. ზრდასრულებში იგი იშვიათია, მაგრამ ბევრად უფრო აგრესიულად მიმდინარეობს. გართულება ყველაზე მეტად მოსალოდნელია ქუნთრუშით დაავადებულ ბავშვებთან, სუსტი იმუნური სისტემის მქონე ადამიანებში, დიაბეტით ან კიბოთი დაავადებულ ასაკოვან პირებთან, დამწვრობის დიდი კერების მქონე პაციენტებთან. მსოფლიოში ყოველწლიურად ამ დაავადების 472000-მდე შემთხვევა აღირიცხება, საიდანაც 400000-ზე მეტი ბავშვია.

დაავადების სიმპტომები თავს იჩენს ყელის სტრეპტოკოკური ინფექციიდან 1-2 კვირის ან კანის ინფექციიდან 3-6 კვირის შემდეგ. შესაძლოა უსიმპტომო ფორმებიც.

მუქი, ე. წ. კოკაკოლისფერი შარდი ხშირად დაავადების პირველი კლინიკური ნიშანია, რასაც გლომერულებიდან გადმოსული დაშლილი ერითროციტები იწვევს. მედიცინაში ამას ჰემატურიას უწოდებენ. ასევე, გლომერულონეფრიტის ერთ-ერთი ნიშანია ქაფიანი შარდი, რასაც იწვევს შარდში ცილების სიჭარბე (პროტეინურია). ავადმყოფებში აღსანიშნავია პერიორბიტალური (თვალის ირგვლივ) და პერიფერიული (სახის, ხელების, ტერფების, მუცლის) შეშუპება სითხის შეკავების, წყლისა და ნატრიუმის შემცირებული ექსკრეციის გამო. დაავადებას თან სდევს ჰიპერტენზია - მაღალი არტერიული წნევა, ასევე, საერთო სისუსტე, დაღლილობა, გამოფიტვა, იშვიათად (15%-ში) - გულისრევა და ღებინება.

გლომერულონეფრიტი შეიძლება გართულდეს შემდეგით:

თირკმლის მწვავე უკმარისობა - თირკმელი სწრაფად კარგავს ნარჩენი პროდუქტების გამოდევნის უნარს და ვერ ინარჩუნებს ორგანიზმში სითხისა და ელექტროლიტების ბალანსს;

ქრონიკული გლომერულონეფრიტი;

თირკმლის ქრონიკული დაავადება - თირკმელი ნელა კარგავს ფილტრაციის უნარს და ბოლოს უფუნქციოდ რჩება. ამ დროს ავადმყოფისთვის გადარჩენის ერთადერთი გზაა დიალიზი (აპარატით სისხლის ხელოვნური გაფილტვრა) ან თირკმლის გადანერგვა;

გულის უკმარისობა ან ფილტვების შეშუპება;

ჰიპერკალიემია - სისხლში კალიუმის მაღალი დონე;

ჰიპერტენზია - მაღალი არტერიული წნევა;

ნეფროზული სინდრომი - ერთდროულად შარდში ცილა, სისხლში ცილის შემცირება, ქოლესტეროლისა და ტრიგლიცერიდების დონის მატება, შეშუპება.

დიაგნოზი ისმევა კავშირით სტრეპტოკოკურ ინფექციასა და დაავადების გამოვლენას შორის, შეშუპებით, განსაკუთრებით სახეზე. დიაგნოზის დასაზუსტებლად ტარდება:

შარდის ანალიზი - ჩანს ჰემატურია (შარდში ერითროციტები), ზოგჯერ არსებობს შეწებებული ერითროციტებიც, ე. წ. წითელი უჯრედების დასი, გლომერულების დაზიანების გამო, ხშირია შარდში ლეიკოციტების სიჭარბეც ანთებითი პროცესის გამო, პროტეინურია (ცილა - შარდში) - ნეფრონის დაზიანების მარკერი;

სისხლის საერთო ანალიზი - კრეატინინი, შარდოვანა მომატებულია, ნარჩენ პროდუქტებს თირკმელი სათანადოდ ვერ აძევებს ორგანიზმიდან.

ასევე, მოწმდება სტრეპტოკოკურ ეგზოენზიმებზე იმუნური რეაქციები, სპეციფიკური ანტისხეულები სისხლში უმეტესად ფარინგიტის გადატანის შემდეგ იმატებს. მნიშვნელოვანია სადიაგნოზოდ შრატში კომპლემენტის (C3 და C1) დონის დაქვეითება.

ანამნეზში ფარინგიტის არსებობისას ანტისხეულების ტიტრი დადებითია პაციენტთა 95%-ში, ხოლო კანის ინფექციების დროს - 80%-ში. იგი ერთი კვირიდან 1 თვემდე მომატებული რჩება.

თირკმლის ბიოფსია - სპეციალური ნემსით

თირკმლიდან ქსოვილის აღება მიკროსკოპით დასათვალიერებლად და ანთების მიზეზის დასადგენად ატიპური მიმდინარეობის დროს.

მკურნალობა, ძირითადად, სიმპტომურია. თუ სტრეპტოკოკური ინფექცია დადასტურდა, პაციენტს უტარდება ანტიბიოტიკოთერაპია (მაგ. პენიცილინით), არტერიული ჰიპერტენზიისა და შეშუპების დროს მარილისა და სითხის რაოდენობა უნდა შემცირდეს რაციონში, ზოგჯერ შარდმდენები და ანტიჰიპერტენზიული პრეპარატებიც ინიშნება.

პროგნოზი კეთილსაიმედოა, პოსტსტრეპტოკოკური გლომერულონეფრიტი, უმეტესად თავისთავად ალაგდება რამდენიმე კვირიდან რამდენიმე თვემდე პერიოდში, თუმცა შესაძლოა გართულდეს თირკმლის ქრონიკულ უკმარისობამდე, როცა დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციაა საჭირო.

პოსტსტრეპტოკოკური გლომერულონეფრიტის გადატანის შემდეგ პაციენტებს სჭირდებათ სისხლის არტერიული წნევის კონტროლი გარკვეული პერიოდულობით 6 თვე, შარდოვანასა და კრეატინინის დონის კონტროლი სისხლში 1 წლის განმავლობაში - 3 თვეში ერთხელ, შემდეგ - ყოველწლიურად, შრატის კომპლემენტის დონის შემოწმება 6-8 კვირის შემდეგ; თუ დაუბრუნდა ნორმას და 3-6 თვეში ერთხელ - შარდში პროტეინურიისა და ჰემატურიის შემოწმება.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 30/09/22, 21 30 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

უთოების გამოფენა – ნობელების მუზეუმში

ზიქრია დავლაძე 597 25 25 72

გამოფენა სახელწოდებით „უთოს განვითარების ტექნოლოგიური თავისებურებები, წარსული და დღევანდელობა“ ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიურ მუზეუმში გაიმართა. აქ წარმოდგენილია როგორც უძველესი, ასევე ახალი უთოები

ამ გამოფენით მუზეუმს ახალი სივრცე შეემატა - ექსპონატები მუდმივ ექსპოზიციაში დარჩება...

ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში უთოს არსებობის ისტორია ჯერ კიდევ მე-4 საუკუნიდან იწყება. რაც შეეხება შედარებით გათანამედროვებულ უთოს, ასეთი პირველად გერმანელებს ჰქონდათ. 1647 წელს ისინი იყენებდნენ ლითონისგან ჩამოსხმულ, უთოს ფორმის ნივთს, რომლის ღია ცეცხლზე გახურებითაც აუთოვებდნენ თეთრეულსა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ქსოვილს. 1752 წელს გერმანელების ნოვაცია გააუმჯობესეს რუსებმა - მათ დაამზადეს ნახშირზე მომუშავე პირველი თუჯის უთო. ნახშირის ნაკვერცხლები უთოს „მუცელში“ იყრებოდა და გაცილებით უსაფრთხო და კომფორტული იყო, ვინაიდან ხელახლა გაცხელებას არ საჭიროებდა და დაუთოვების პროცედურის დროც საგრძნობლად შემცირდა. ნახშირის უთო შეცვალა თანამედროვე უთომ, რომელიც ამერიკელმა ჰენრი შელმა 1882 წლის ივლისში გამოიგონა. უთოს განვითარების შემდეგ პერიოდად 1933 წელი სახელდება, - თანამედროვესთან მიმსგავსებული ელექტრონული უთო საფრანგეთში გამოიგონეს. ეს იყო პლასტმასის და ლითონის უთოები, რომელთაგან ზოგიერთს პატარა დამტენ-აკუმულატორი მოჰყვებოდა.



- ნობელების ტექნოლოგიურ მუზეუმში ხშირად იმართება საინტერესო თემატური გამოფენები. ამჯერად, ყველა ოჯახისთვის საჭირო, პოპულარული ნივთის - უთოს განვითარების ტექნოლოგიური თავისებურებები, წარსული და დღევანდელობაა წარმოდგენილი. უთოს ტექნოლოგიური განვითარება საინტერესო ეტაპს მოიცავს. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში გამოჩნდა უთოს პირველი ნიშნები. ტანსაცმელზე ნაკეცებს მაღალი ტემპერატურით აშორებდნენ. ეს ხდებოდა შემდეგნაირად: იღებდნენ ბრტყელ ქვებს, მკვრივ ზედაპირზე დებდნენ, ქსოვილს აფარებდნენ და ზემოდან ქვით ან მძიმე საგნით ასწორებდნენ. უთოები, რომელიც მე-18-19 საუკუნეებში გამოიყენებოდა, თანამედროვე ფორმის მსგავსი, თუჯის იყო, რომელიც ღუმელში იდებოდა და ცხელდებოდა. ცოტა სახიფათო იყო, რადგან თუ უთო ტემპერატურას ნორმაზე მეტად გადააჭარბებდა, დაზიანდებოდა ან დაიწვებოდა ქსოვილი. ამიტომ ეს ტექნოლოგია გააუმჯობესეს და დაიწყეს ნახშირის უთოების გამოყენება. ამ ტიპის უთოების „მუცელში“ ყრიდნენ ცხელ ნახშირს. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ევროპულ ქვეყნებში უთოების საკმაოდ ძვირად ღირებული მოდელები გამოჩნდა. იგი ნავთსა და ალკოჰოლზე მუშაობდა და ცხვრის ფარაშიც კი შეიძლებოდა გაეცვალათ. გამოირჩეოდა ლამაზი დიზაინით. თუჯის უთოებს დღესაც ამზადებენ პოლონეთში და იგი საკმაოდ პოპულარული და მოთხოვნადია ამ ქვეყანაში. რაც შეეხება ელექტრონულ უთოს, იგი ამერიკელმა ჰენრი სილიმ გამოიგონა 1882 წლის ივლისში. თანამედროვე ეპოქაში ყველა ოჯახს უახლესი წარმოების სხვადასხვა ტიპის უთო აქვს. აქ წარმოდგენილია თუჯის, ნახშირის, ორთქლის უთოები, რომლებიც ჩვენს ფონდში ინახება, ასევე, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმშიც. თანამედროვე უთოებთან ერთად თმის უთოც გამოვფინეთ, - გვითხრა ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიური მუზეუმის დირექტორმა მედეა ჩარკვიანმა.

ანსამბლი „ბათუმი“ და ვაჟთა ხალხური სიმღერების გუნდი – ნეშეთ ერთაშის კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე

ბათუმის მერიასთან არსებული კულტურის ცენტრის ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი“ და ვაჟთა ხალხური სიმღერების გუნდი თურქეთის რესპუბლიკის კირშეჰირის მუნიციპალიტეტში, ნეშეთ ერთაშის კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში წარმატებით მონაწილეობს.

ვრცელ ინფორმაციას ამ ფაქტის შესახებ უახლოეს ხანებში, ბათუმელი ხელოვანების მშობლიურ ქალაქში დაბრუნების შემდეგ, მოგაწვდით, მანამდე კი დაზუსტებით შეგვიძლია გითხრათ, რომ ფესტივალის ფარგლებში ჩვენმა კოლექტივებმა კონცერტები იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქების წარმომადგენლებთან ერთად გამართეს. ამ ემოციებითა და მაყურებელთა ოვაციებით დატვირთული ხელოვნების ზეიმის შემდეგ კირშეჰირის მუნიციპალიტეტის მერი საგანგებოდ შეხვდა ქართული დელეგაციის წევრებს.

შეხვედრაზე გამოთქვეს მზადყოფნა, რომ მომავალში ერთობლივად დაგეგმონ სხვადასხვა ფესტივალი. საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ მათი ურთიერთთანამშრომლობა სასიკეთო ნაყოფს გამოიღებს.

მარი მიდასელი

გულის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით მარათონი მოეწყო

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, გულის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით სპორტული მარათონი გაიმართა. ტურნირში მონაწილეობდნენ 16-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, რომლებმაც გარბენი მოაწყვეს მირვეთი-მაჭახელას მიმართულებით.

მუნიციპალიტეტში გამართულ სპორტულ შეჯიბრში საპრიზო ადგილები დაიკავეს: პირველი ადგილი - ირაკლი აბაშიძემ; მეორე ადგილი - დავით ძნელაძემ; მესამე ადგილი - დიმიტრი მსხალაძემ.

1999 წელს გულის მსოფლიო ფედერაციის ინიციატივით დაარსდა გულის მსოფლიო დღე, მისი მიზანი გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ცოდნის ამაღლებაა. ამ დღესთან დაკავშირებით, ღონისძიებები 100-ზე მეტ ქვეყანაში იმართება, რაც ჯანმრთელობის მასობრივ შემოწმებას, საჯარო ლექციებს, სპორტულ შეჯიბრებებსა და ორგანიზებულ სეირნობებს მოიცავს.